ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3145564

ნომერი: AR1482933

თარიღი : 01.03.2017

გაცემის თარიღი : 24.03.2017

გაცნობის თარიღი : 24.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია , (ყოფ. კახოვსკი) , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01024018293
- ბერძნის ქ.39

ორგანიზაცია:
- კედიას 10 კოდი: 405074672

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 01 მარტის №AR1482933 განაცხადით მომართა გიორგი კაპანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა კედია, (ყოფ. კახოვსკი), #10, შპს ,კედიას 10"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.06.008.064), მრავალფუნქციური კომპლექსის IIIა (ყოფილი III ბლოკი და IIIბ (ყოფილი IV) საცხოვრებელი ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 23 დეკემბრიდან 2017 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გაპარულია შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობის 1104.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა ეწეროს 1251.1 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელი 4538.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა ეწეროს 4538.6 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობი ნაცვლად 6938.9 კვ.მ-სა იქნება 7086.1კვ.მ.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი - 1251.1 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი - 4538.6 კვ.მ, საერთო ფართობი - 7086.1 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 დეკემბრის #3013265 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.